კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, ევროპის უმსხვილესი ორგანიზაციის განცხადება საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით

2015 წლის 14 იანვარს საყდრისი-ყაჩაღიანის მოვლენების შესახებ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ყველაზე მსხვილმა ევროპულმა გაერთიანებამ - ,,ევროპა ნოსტრამ'' ~~ოფიციალური განცხადება გაავრცელა.~~

,,ევროპა ნოსტრა A მოუწოდებს ყველა მხარეს, რომ მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა

შეწყდეს ამ უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განადგურება, რომელიც, როგორც ევროპა ნოსტრა აღნიშნავს მსოფლიოში ყველაზე ძველი ოქროს მაღაროა.

,,ევროპა ნოსტრა □□ ასევე სოლიდარობას უცხადებს კამპანიას, რომლის მიზანია საყდრისი-ყაჩაღიანის გადარჩენა და აცხადებს მზადყოფნას რომ მხარში დაუდგეს სამოქალაქო საზოგადოებას რათა შეჩერდეს საყდრისი-ყაჩაღიანის შემდგომი განადგურება
.
ორგანიზაცია ასევე შეუერთდა პეტიციას, რომელიც საყდრისის ნგრევის შესაჩერებლად შეიქმნა. პეტიციას ამ დროისთვის მსოფლიოს 28 ქვეყნიდან 250-ზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

,,ევროპა ნოსტრა □ □ წარმოადგენს ევროპის უმსხვილეს გაერთიანებას კულტურული მემკვიდრეობის კუთხით, რომელიც აერთიანებს 5 მილიონზე მეტ ადამიანს, 250 წევრ ორგანიზაციას და 150 ასოცირებულ წევრს (მათ შორის, მსხვილი კორპორაციები, როგორიცაა VOLVO, სამთავრობო უწყებები, ადგილობრივი თვითმმართველობები). ,,ევროპა ნოსტრა □ □ მჭიდროდ თანამშრომლობს ისეთ ცნობილ ორგანიზაციებთან, როგორიცაა UNESCO, ევროპის საბჭო და სხვა.